

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1664 (2009) საქართველოსა და რუსეთის შორის ომის ჰუმანიტარული შედეგები: რეზოლუცია 1648 (2009)-ის განგრძობა**

1. საპარლამენტო ასამბლეა ეყრდნობა მის რეზოლუციას 1648 (2009) საქართველოსა და რუსეთის შორის ომის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ. ის მნიშვნელოვნად მიიჩნევს აღნიშნული რეზოლუციის განგრძობას სამხრეთ ოსეთში არსებული განსაკუთრებული ჰუმანიტარული მდგომარეობისა და ბოლო ხანს მომხდარი იმ ცვლილებების უფრო დეტალური შესწავლის გზით, რომლებიც გავლენას ახდენს დანარჩენ საქართველოსა და კონფლიქტის ზონებში არსებულ ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე.

2. კონფლიქტის მიმდინარეობისას გადაადგილებულ 130 000 ეთნიკურ ქართველთაგან, დაახლოებით 26 000 იძულებით გადაადგილებული პირი რჩება საერთო საცხოვრებლებსა და მასპინძელ ოჯახებში თბილისსა და საქართველოს სხვა მხარეებში. კონფლიქტის მიმდინარეობისას ჩრდ. ოსეთში გადაადგილებული დაახლოებით 33 000 - დან 38 000 - მდე სამხრეთ ოსური წარმომავლობის ადამიანიდან, დაახ. 1200 ჯერაც არ დაბრუნებულა სამხრეთ ოსეთში.

3. კონფლიქტით გამოწვეული გადაუდებელი ჰუმანიტარული სახის საჭიროებანი დაკმაყოფილდა ზამთრის განმავლობაში. ამასთან მიმართებაში, უნდა აღინიშნოს საქართველოს მთავრობის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის, საკვების მსოფლიო პროგრამის, UNICEF-სა და მრავალი სხვა საერთაშორისო და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციის, ისევე როგორც არაერთი დონორი სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაწეული სამსახური საქართველოს მთავრობის კონტროლქვეშ არსებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა სასარგებლოდ. აღსანიშნავია, აგრეთვე, რუსეთის წვლილი ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის საქმეში, სახელდობრ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში. ასევე უნდა აღინიშნოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მნიშვნელოვანი შენატანი ჰუმანიტარული სახის საქმიანობაში თბილისს გარეთ და აგრეთვე ცხინვალს გარეთ, სადაც ის წარმოადგენს სამხრეთ ოსეთის რეგიონში მოქმედ ერთადერთ საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციას.

4. ამიერიდან, საჭიროა პრიორიტეტის მიმართვა გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარებიდან მდგრადი გადაწყვეტილებებისკენ, აღდგენითი საქმიანობისა და განვითარებისკენ, რაც მოიცავს ომის მიმდინარეობისას და მის შედეგად დანგრეული სახლებისა და ნაგებობების აღდგენას. პრიორიტეტს წარმოადგენს ბუნებრივი აირის, წყლისა და ელექტროენერჯის მიწოდების აღდგენა და მისი უწყვეტობის უზრუნველყოფა.

5. საჭიროა, უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვით შეეწყოს ხელი ყველა იძულებით გადაადგილებული პირის, ისევე როგორც ლტოლვილის უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში ნებაყოფლობით დაბრუნებას. აღნიშნული ეხება როგორც ბოლო დროს მომხდარი კონფლიქტის შედეგად დაზარალებულებს, ასევე მათ, ვისაც წინარე კონფლიქტები შეეხო.

6. 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის ფედერაციის მთავრობამ გამოყო 10 მლრდ. რუბლი სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის (2008-2011) განხორციელებისათვის. გეგმის თანახმად, სამუშაოს გარკვეული ნაწილი უკვე განხორციელდა, რაც გულისხმობს დაგეგმილი 482 ნაგებობიდან 46 - ის აშენებას და 1.5 მლრდ. რუბლის ათვისებას 2008 წლის ბოლოსთვის. ეს დაეხმარება შენობებისა და ინფრასტრუქტურის აღდგენასა და ბუნებრივი აირის ახალი მილსადენის მშენებლობას ჩრდ. ოსეთიდან ცხინვალის მიმართულებით. ხსენებული ნაბიჯები ხელს შეუწყობს სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებელთა რთული ყოფის შემსუბუქებას, მათ შორის იმ 3000-ზე მეტი ადამიანისა, რომლებიც წინარე კონფლიქტების შემდგომ ჯერაც საერთო საცხოვრებლებს აფარებენ თავს.

7. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საწუხარი კვლავ აქტუალურია სამხრეთ ოსეთის მრავალი მაცხოვრებლისთვის, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში მცხოვრებთათვის და განსაკუთრებით მათთვის, ვინც ცხოვრობს ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს. ყველა მხარეს არსებობს უსაფრთხოების დაუცველობისა და შიშის დიდი შეგრძნება, რაც გამოწვეულია ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ინციდენტებით, მძევლად აყვანის ფაქტებითა და ასევე, საომარ მოქმედებათა განახლების შესაძლებლობით.

8. უწინ საქართველოს კონტროლქვემ არსებული სოფლები სამხრეთ ოსეთში, ცალკეული სახლების გამოკლებით, მიწასთან არის გასწორებული. ცხადი ჩანს განზრახვა, რაიონი გაიწმინდოს ეთნიკური ქართველებისგან.

9. არსებობს აშკარა მტკიცებულება, რომ სამოქალაქო ობიექტებისა და სამხრეთ ოსური მოსახლეობის სახლების ნგრევა ომის მიმდინარეობისას განხორციელდა საქართველოს სამხედრო ძალების მიერ.

10. დიდ წუხილს იწვევს ეთნიკურ ქართველთა მდგომარეობა ოკუპირებულ ახალგორის რაიონში და მიუხედავად იმისა, რომ დაშინებისა თუ ძალადობის გზით მათ არ აიძულებენ, დატოვონ თავიანთი საცხოვრისი, ისინი აწყდებიან მრავალ პრობლემას, რომელთა გადაუჭრელობა გამოიწვევს რაიონის მოსახლეობის დამატებით გადაადგილებას. აღნიშნული პრობლემები მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთაზე დაწესებულ შეზღუდვებს, განათლების სისტემასთან და ქართულ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებულ გაურკვევლობას, მოსახლეობაზე ზეწოლის განხორციელებას მათ მიერ სამხრეთ ოსეთის პასპორტების აღების მიზნით, დისკრიმინაციის ფაქტებს ცალკეულ პირთა მხრიდან და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

11. ომით გამოწვეული ზიანი, წარმოებული მოკვლევები და ადამიანთა ჩვენებები, რომლებიც გამოაშკარავდა ომის დასრულების შემდგომ, ცხადყოფს ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებს, ჩადენილს ყველა მხარის მიერ, რაც უნდა გახდეს დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიების საგანი. კერძოდ, საჭიროა, გამოძიებულ იქნეს სამოქალაქო მოსახლეობაზე განხორციელებული განურჩეველი ხასიათის სამხედრო დარტყმების ფაქტი, რასაც ადგილი ჰქონდა კასეტური ჭურვების გამოყენებით, სავარაუდოდ როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის მიერ და აგრეთვე, ოს სამოქალაქო პირებზე სავარაუდოდ თავდასხმის ფაქტები, რომლებიც ცდილობდნენ, გაცლოდნენ საომარ მოქმედებათა სცენას ცხინვალისგან და ქართველ სამოქალაქო პირებზე, რომლებიც ცდილობდნენ, გაცლოდნენ საომარ მოქმედებათა სცენას, მათ შორის ერედვთან ახლოს.

12. დამატებითი რჩება მდგომარეობა აგრეთვე აფხაზეთში. განსაკუთრებულ შემოთვალს იწვევს საკითხები, რომლებიც უკავშირდება გალის რაიონის სამხრეთი ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთაზე დაწესებულ შეზღუდვებს, უფლებებით სარგებლობას, კერძოდ გალის რაიონში ფაქტობრივ უმცირესობაში მცხოვრებ ქართველთა უფლებას, მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე და ადამიანების იძულების პროცესს, რათა მათ აიღონ აფხაზური პასპორტები. ასამბლეის უდიდეს წუხილს იწვევს, აგრეთვე, ამასწინათ სოფელ ოტობაიაში მომხარი ინციდენტი, საიდანაც მოხდა 50 ოჯახის გამოძევება. თუმცა, მოგვიანებით, მათ ნება დაერთოთ, დაბრუნებოდნენ თავიანთ საცხოვრისს.

13. გაურკვეველი რჩება რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციათა მომავალი და მათი როლი. ეუთოს ოფისი საქართველოში მუშაობს დახურვის რეჟიმში, თუმცა ორგანიზაციის შეუიარაღებელ სამხედრო მეთვალყურეთა მანდატი გაგრძელებულ იქნა 2009 წლის 30 ივნისამდე. აფხაზეთთან მიმართებაში, გაერომ შეძლო, მიეღწია შეთანხმებისათვის მისი სადამკვირვებლო მისიის ახალი მანდატის 2009 წლის 15 ივნისამდე განგრძობის თაობაზე, მაგრამ საჭიროა მოლაპარაკებების წარმართვა მომავალი მანდატის შესახებ. რუსეთი და დე ფაქტო ხელისუფლებები ეწინააღმდეგებიან ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის შესვლას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე.

14. საჭიროა დამატებითი ნაბიჯების გადადგმა იმისათვის, რათა აღდგეს დიალოგი და ნდობა კონფლიქტის ყველა მხარესა და საერთაშორისო თანამეგობრობას შორის. აღნიშნული ვერ განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუკი ადმინისტრაციული საზღვრები იქნება მყარად ჩაკეტილი და საზოგადოებები დარჩებიან ერთმანეთისგან სრულიად იზოლირებულნი. საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის გაერო და ევროპის საბჭო, უნდა იყვნენ წარმოდგენილნი ამ რეგიონებში იმისათვის, რათა ხელი შეუწყონ დიალოგისა და ნდობის აღდგენას.

15. ზემოხსენებულ მოსაზრებათა გათვალისწინებით, ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს, რუსეთსა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებებს:

15.1 სრულად განახორციელონ საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ ასამბლეის მიერ მიღებულ 1648 (2009) რეზოლუციაში გამოთქმული რეკომენდაციები;

15.2 გახსნან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრები და შეიმუშაონ მოქნილი და პრაქტიკული მიდგომა რეგიონში ჩრდილოეთის თუ სამხრეთის მხრიდან დაშვებისადმი, სულ მცირე ყველა ჰუმანიტარული მიზნისათვის;

15.3 უზრუნველყონ, რათა ყველა ძირითადი კომუნალური მომსახურების - ბუნებრივი აირის, ელექტროენერჯისა და წყლის მიწოდება იყოს უწყვეტი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცხინვალის ბუნებრივი აირით მომარაგებასთან და სამხრეთ ოსეთიდან ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთით მდებარე სოფლების წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით;

15.4 უზრუნველყონ საერთაშორისო სამეთვალყურეო მექანიზმების, მათ შორის წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სრული და თავისუფალი დაშვება ადამიანების ყველა დაკავების ადგილზე;

15.5 იმოქმედონ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ვინაობის დასადგენად და მოაგვარონ მძევლად აყვანასთან და ტყვეთა გაცვლასთან დაკავშირებული პრობლემები, ამისათვის კი, საჭიროებისამებრ, ისარგებლონ რეგიონში მოქმედი სხვადასხვა სახალხო დამცველის და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის კეთილი სამსახურით;

15.6 მხარი დაუჭირონ სამოქალაქო-საზოგადოებრივ ინიციატივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ხალხის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის გასაძლიერებლად და საზოგადოების გასავითარებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის დაცვის კულტურა ყოფილ კონფლიქტის ზონებში;

15.7 ჰუმანიტარულ კონტექსტში, პრიორიტეტი მიანიჭონ მოქნილი და შემოქმედებითი შეთანხმების მოძიებას რეგიონში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციათა მანდატთან და როლთან მიმართებაში, იმისათვის რათა ხელი შეუწყონ მშვიდობასა და სტაბილურობას და მეთვალყურეობა გაუწიონ ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის დაცვის მხრივ არსებულ მდგომარეობას. ამასთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად:

15.7.1 დათანხმდნენ საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის მიერ წარმოებული მუშაობის განგრძობას;

15.7.2 ნება დართონ ეუთოს შეუიარაღებელ სამხედრო ოფიცრებს, განაგრძონ თავიანთი სამეთვალყურეო მანდატი და შეთანხმდნენ სამხრეთ ოსეთის რეგიონში ეუთოს განახლებული მანდატის შესახებ;

15.7.3 განამტკიცონ ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის მანდატი და დაუშვან ის კონფლიქტის ყველა ტერიტორიაზე;

15.7.4 გამოარკვიონ, თუ რამდენად არის საჭირო ახალი ტიპის საერთაშორისო სამშვიდობო ძალა რეგიონში;

15.7.5 აიღონ ვალდებულება, რათა თავი შეიკავონ ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენებისაგან, ვინაიდან ასეთი ვალდებულება მეტად გააადვილებდა 2008 წლის აგვისტოში მომხდარი ომის შედეგად წამოჭრილი ყველა ჰუმანიტარული პრობლემის საფუძვლიან მოგვარებას.

16. ასამბლეა მოუწოდებს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასა და რუსეთს:

16.1 უზრუნველყონ რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყოფილი 10 მლრდ. რუბლის რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენება სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნებისათვის, მათ შორის სახლების აღმშენებლობისათვის, საერთო საცხოვრებლებში თავშეფარებულთა დაბინავებისა და დაზიანებული და დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის;

16.2 მიიღონ ზომები ყველა მათ წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობდნენ სახლების დანგრევასა თუ მოროდერობაში და უზრუნველყონ ყველა ეთნიკური ქართველის სახლების, საკუთრების, ქონებისა და ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, ხოლო რაც შეეხება სახლებსა და საკუთრებას, უზრუნველყონ მათი აღდგენა და პრაქტიკული შესაძლებლობის გათვალისწინებით, დაბრუნება. თუკი ეს შეუძლებელია, საერთაშორისო სტანდარტებისა და მომჩივნის ნების თანახმად, უნდა კომპენსაციის ოდენობა უნდა განსაზღვროს დამოუკიდებელმა ტრიბუნალმა;

16.3 უზრუნველყონ ყველა იძულებით გადაადგილებული პირის ნებაყოფლობითი დაბრუნება უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში, საერთაშორისო სამართლის ნორმათა შესაბამისად;

16.4 თავი შეიკავონ ნებისმიერი იმგვარი ნაბიჯის გადადგმისგან, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკურ ქართველთა შემდგომ გადაადგილებას, კერძოდ ოკუპირებული ახალგორის რაიონიდან და ხელი შეუწყონ მათ დაბრუნებას, ვინც მანამდე უკვე დატოვეს თავიანთი საცხოვრისი. ამასთან დაკავშირებით, უნდა გადაიდგას ნაბიჯები, იმისათვის რათა:

16.4.1. გაადვილდეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის სამხრეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიღმა გადაადგილება ახალგორის რაიონში;

16.4.2. დახმარება გაეწიოს დაზიანებული თუ განადგურებული საკუთრების აღდგენას ახალგორის რაიონში;

16.4.3. უზრუნველყოფილ იქნეს განათლებასთან დაკავშირებულ უფლებათა დაცულობა, მათ შორის მშობლიურ ენაზე განათლებისა, ახალგორის რაიონში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთათვის;

16.4.4. უზრუნველყოფილ იქნეს, რათა მოსახლეობა არ აიძულონ, აიღოს სამხრეთ ოსური პასპორტები;

16.4.5. თავიდან იქნეს აცილებული მოქალაქეობის არქონის მდგომარეობა ;

16.4.6. დაიძლიოს დისკრიმინაციის ნებისმიერი გამოვლინება, იქნება ეს პიროვნებებისა თუ ხელისუფლების მხრიდან.

17. ასამბლეა მოუწოდებს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასა და რუსეთს:

17.1. სამხრეთის ადმინისტრაციული საზღვარი დატოვონ გახსნილი, კერძოდ მათთვის, ვინც ცხოვრობს გალის რაიონში, ან სურს იქ დაბრუნება;

17.2. უზრუნველყონ, რათა აღარ განმეორდეს იმგვარი ინციდენტები, როგორც იყო მაცხოვრებელთა გამოძევება სოფელ ოტობაიდან;

17.3. უზრუნველყონ ნებაყოფლობითი დაბრუნება უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში, მათ შორის კოდორის ხეობაში მცხოვრები ადამიანებისა;

17.4. უზრუნველყონ, რათა მოსახლეობა არ აიძულონ, აიღოს აფხაზური პასპორტები;

17.5. თავიდან იქნეს აცილებული მოქალაქეობის არქონის მდგომარეობა;

17.6. უზრუნველყოფილ იქნეს განათლებასთან დაკავშირებულ უფლებათა დაცულობა, მათ შორის მშობლიურ ენაზე განათლებისა ეთნიკურ ქართველთათვის.

18. ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს:

18.1. განაგრძოს იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ შესწორებული სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელება, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისთან და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობითა და მათთან კონსულტაციით;

18.2. გადახედოს კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, ან თავი შეიკავოს მისი იმგვარი განხორციელებისგან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მისი შეუთავსებლობა საერთაშორისო ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სტანდარტებთან, როგორც ეს გამოკვეთა ევროპულმა კომისიამ დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით (ევნეციის კომისია).

19. ასამბლეა მოუწოდებს რუსეთს, შეისწავლოს საქართველოში ბოლო ხანს მომხდარი კონფლიქტისა და წინარე კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა განსახლებასთან დაკავშირებული და სხვა ჰუმანიტარული საჭიროებანი, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა და დააჩქაროს მათი დაბინავება, ვინც ამჟამად ცხოვრობს გრძელვადიან საერთო საცხოვრებლებში ჩრდ. ოსეთში.

20. ასამბლეა მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, გააორმაგოს ძალისხმევა სამხრეთ ოსეთსა და ასევე აფხაზეთში მისი დასწრების უზრუნველსაყოფად, იმისათვის, რათა განელდეს უნდობლობის შეგრძნება ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან და განმტკიცდეს ყველა მხარეს შორის დიალოგის შესაძლებლობა.

21. ასამბლეა წაახალისებს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს, მის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით რეგიონში წარმართულ მნიშვნელოვან საქმიანობაში.

22. ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს განვითარების ბანკს, განაგრძოს ჰუმანიტარული პროექტების მხარდაჭერა ომის შედეგად დაზარალებული რეგიონისთვის, საჭიროებისამებრ სესხებისა თუ გრანტების გაცემის მეშვეობით.

23. ასამბლეა კვლავაც გააგრძელებს საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ 1648 (2009) რეზოლუციისა და წინამდებარე რეზოლუციის განხორციელების ყურადღებით მეთვალყურეობას, ისევე როგორც სამონიტორინგო კომიტეტის შესაბამისი მოხსენებისა რეზოლუციების - 1633 (2008) და 1647 (2009) განხორციელების თაობაზე.  
**2009 წლის 29 აპრილი.**

(<http://portal.coe.ge/downloads/Resolutions/Res1664Geo.pdf>)